1:0, 2:1 და მაინც ფრე

ვოროშილოვგრადი. “ავანგარდის” სტადიონი. 22 სექტემბერი.

“ზარია” _ “დინამო” (თბილისი) 2:2 (0:1).

“ზარია”: ტკაჩენკო, ს. კუზნეცოვი, მალიგინი, აბრამოვი, ვასენინი, ჟურავლიოვი, ვ. კუზნეცოვი, სემიონოვი, კუკსოვი, სტარკოვი, ონიშჩენკო.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, პეტრიაშვილი, მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია, გუცაევი (ლ. ნოდია).

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები _ 3:0 “ზარიას” სასარგებლოდ.

საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში “ზარიას” თბილისის “დინამოსთან” არასდროს მოუგია, მაგრამ ამ გუნდების შეხვედრები მუდამ უშეღავათო და დაძაბულ ბრძოლაში მომდინარეობდა. ფეხბურთელებმა ამ ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და მინდორზე უაღრესად საინტერესო თამაში გაჩაღდა. “ზარიას” სწრაფ, კომბინაციურ მოქმედებას სტუმრებმა დახვეწილი ტექნიკა დაუპირისპირეს, მაგრამ მინდვრის შუაგულში ხშირად აყოვნებდნენ ბურთს.

თბილსელთა პირველი აფეთქება მე-12 წუთზე მოხდა, როცა ყიფიანმა შორიდან ძლიერი და მოულოდნელი დარტყმით აიღო “ზარიას” კარი. მასპინძლებმა კიდევ უფრო უმატეს ისედაც მაღალ ტემპს და თბილისელთა საჯარიმო მოედნის ხშირი სტუმრები გახდნენ. ერთ-ერთი საიერიშო ოპერაციის დროს “ზარიამ” 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღო, მაგრამ გუნდის კაპიტანმა ჟურავლიოვმა კარს ააცდინა ბურთი.

შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. 65-ე წუთზე ონიშჩენკომ კარგად გამოიყენა კუკსოვის გადაცემა და ოთხიოდე მეტრიდან საპასუხო გოლი გაიტანა _ 1:2.

სტადიონზე ტაში ჯერ დამცხრალი არ იყო, როცა ყიფიანმა ძლიერი დარტყმით კვლავ დააწინაურა “დინამო”. წაგების საფრთხის წინაშე მდგარმა ვოროშილოვგრადელებმა კიდევ უფრო მძაფრად შეუტიეს დინამოელთა კარს. დინამოელები იშვიათ, მაგრამ მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. 75-ე წუთზე მასპინძელთა მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო: ვასენინმა ძლიერი დარტყმით ბურთი კარის ზედა კუთხეში მოათავსა.

საინტერესო ბრძოლა ამის შემდეგაც არ დამცხრალა. მატჩის მიწურულს ონიშჩენკოს დარტყმული ბურთი მოხვდა “დინამოს” კარის ძელს, უკუგდებულ ბურთს მიუსწრო სტარკოვმა, მაგრამ მიზანს ააცდინა

ო. ბუჩმა. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 24 სექტემბერი, 1972 წ.